




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს



განკარგულება №24

2016 წლის 21 მარტი

ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“-სთვის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ თხოვნების ფორმით, ა(ა)იპის არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“-ს (ს/კ443856908) დირექტორის მომართვის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია საკუთრებაში არსებული სპეციალიზებული ავტომობილი (ნაგავმზიდი) JAC „HFC1130KR1“ სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვნების ფორმით ა(ა)იპის არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“, მომსახურების გასაუმჯობესებლად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ და „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტების, ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“-ს 04.03.2016 წლის №45 მომართვის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“-ს (ს/კ443856908) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვნების ფორმით ა(ა)იპის არსებობის ვადით გადასცეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სპეციალიზებული ავტომობილი (ნაგავმზიდი) JAC „HFC1130KR1“ გამოშვების წელი-2016, ფერი-თეთრი, სარეგისტრაციო (სახელმწიფო) № GG 641 QQ (საიდენტიფიკაციო № LJ11RXC2F3210461) ღირებულებით 137 400 (ას ოცდაჩვიდმეტი ათას ოთხასი) ლარი;
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ხაშური, მერაბ სკოსტავას ქ №15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე